ფულადი მოტივატორების გავლენა თანამშრომელთა პროდუქტიულობასა და სამუშაოს შესრულებაზე

ნატო ჯაყელი

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე დანელია, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნატო ჯაყელი

04.07.2022

აბსტრაქტი

მუდმივად ზრდადი კონკურენცია ბიზნესში განაპირობებს მოტივირებული თანამშრომლების აუცილებლობას ორგანიზაციებში და ფირმების მხრიდან მუდმივ მზაობას, ჰქონდეთ დახვეწილი და თანამშრომლებზე მორგებული ფულადი ჯილდოს სისტემები. ნაშრომი შეისწავლის სხვადასხვა ფულადი ჯილდოს მოტივაციურ გავლენას თანამშრომლების პროდუქტიულობასა და სამუშაოს შესრულებაზე. კვლევა მიზნად ისახავს გამოავლინოს და შისწავლოს თანამშრომელთა პროდუქტიულობის ზრდასა და სამუშაოს შესრულებაზე მოტივაციურად მოქმედი მნიშვნელოვანი ფულადი მოტივატორები და ფაქტორები.

კვლევა ტარდება შერეული მეთოდის გამოყენებით, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომბინაციით, მეტად მრავალფეროვანი და სანდო შედეგების მიღების მიზნით. რაოდენობრივი კვლევის პროცესში სამიზნე ჯგუფებად განისაზღვრა კერძო სექტორში დასაქმებული ზრდასრული მოსახლეობა, ხოლო თვისებრივი კვლევის შემთხვევაში დაკვირვების ობიექტს წარმოადგენენ კერძო სექტორის წარმომადგენელი მაღალი რგოლის მენეჯერები და აღმასრულებელი დირექტორები. კვლევის ინსტრუმენტად განხილულია ანკეტირებული კითხვარები.

კვლევის ძირითადი მიგნებები მიუთითებს, რომ ფულად მოტივატორებს განსაკუთრებული დადებითი ზეგავლენა აქვთ თანამშრომელთა პროდუქტიულობასა და სამუშაოს შესრულებაზე. უფრო კონკრეტულად, შესრულებაზე დამყარებული ფულადი ჯილდოები განსაკუთრებით იწვევს თანაშრომლების მოტივაციას, გაზარდონ ძალისხმევა და შესრულება სამსახურში, რაც საბოლოოდ, მნიშვნელოვან დადებით ზეგავლენას ახდენს კომპანიის საბოლოო შედეგებზე და მიზნებზე. კვარტალური ბონუსები ასევე მნიშვნელოვანი ფულადი მოტივატორებია, რომლებიც თანამშრომელთა პროდუქტიულობას აუმჯობესებს ძირითადად მოკლევადიან პერიოდში.

საძიებო სიტყვები: მოტივაცია, ფულადი მოტივატორები, ფულადი ჯილდო, წახალისება, თანამშრომელთა პროდუქტიულობა, სამუშაოს შესრულება, თანამშრომელთა შესრულება.

Abstract

The ever-increasing competition in business necessitates motivated employees in organizations and constant readiness of companies to have sophisticated and employee-friendly monetary reward systems. The Master Thesis examines the motivational impact of various cash rewards on employee productivity and job performance. The study aims to identify and examine the monetary incentives and factors that have significant impact on productivity of employees.

The research is conducted using a mixed, a combination of quantitative and qualitative methods, in order to obtain reliable results. Determined target groups, in the process of quantitative research, were the adult population employed in the private sector, in the case of qualitative research, the object of observation were senior managers and CEOs from the private sector as well. The survey is considered as a research tool.

The main findings of the study indicates that monetary incentives have particularly positive impact employee productivity and job performance. More specifically, performance-based monetary rewards highly motivate employees to increase effort and productivity at work, which has a significant positive impact on the company's results and goals. Quarterly bonuses are also very important monetary incentives to improve employee productivity mainly in the short term.

Keywords: Motivation, incentives, monetary incentives, monetary reward, encouragement, productivity, job performance, employee performance.